ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N09

2016 წლის 29 თებერვალი
ქ. ქობულეთი

## შპს ,,სოკარ ჯორჯია გაზი“-სათვის საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა შპს ,,სოკარ ჯორჯია გაზს“ თანდართული სქემების შესაბამისად ქობულეთი, დაბა ჩაქვი, ბათუმის ქუჩა N20-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 20.48.01.285) დაბალი წნევის მიწისქვეშა გაზსადენის მშენებლობისათვის საჭირო სამუშაოების წარმოებაზე.
2. შპს ,,სოკარ ჯორჯია გაზმა“ უზრუნველყოს საშუალო წნევის გაზსადენის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურთან, ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან.
3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობისა და ზედამხედველობის სამსახურებს.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30).
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე




| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შ.პ.ს "ჯეორჯია გაზ პროჯექტ" საპროექტო ჯგუფი | | | | | | |
| საპროექტო ჯგუფის უფროსი | | ლ.წულუკიძე | ქ.ქობულეთის მუნიციპალიტეტი დაბა ჩაქვი. ბათუმის ქუჩა №20 | | | |
| სპეციალისტი | | ი.ბურჭულაძე | 18 კოტეჯის გაზმომარაგების პროექტი | სტად. | ფურც. | ფურ-ები |
| | | | | მ.პ. | 1 | 3 |
| შემსრულებელი | | ი.დოსაპაიძე | | | | |